პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1980 წელი
სამშაბათი
29 ივლისი
№ 174 (17817)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

მეგობრული შეხვედრა

28 ივლისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი ყირიმში შეხვდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს გ. ჰუსაკს, რომელიც დასასვენებლად არის ჩამოსული სსრ კავშირში.

გაიმართა ორმხრივი ინფორმაციის გაზიარება აქტუალურ ამოცანებზე, რომლებიც ორი მოძმე პარტიის ყურადღების ცენტრში დგას. მათ შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია სკკპ XXVI ყრილობისა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XVI ყრილობისათვის მზადებას, იდეურ-პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობას სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიანი გეგმების შესასრულებლად.

მსოფლიო ასპარეზზე შექმნილი მდგომარეობის განხილვისას აღინიშნა, რომ იერიში, რომელიც დიდის ამბით წამოიწყეს იმპერიალისტურმა ძალებმა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, თანდათან კარგავს ძალას.

შეხვედრის მონაწილეებმა საჭიროდ ცნეს გაგრძელდეს და განვითარდეს უმაღლესი დონის კონტაქტები სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოებს შორის. ამ თვალსაზრისით ხაზგასმით აღინიშნა, თუ რაოდენ სასარგებლო იყო ლ. ი. ბრეჟნევის ამასწინანდელი მოლაპარაკება საფრანგეთის პრეზიდენტთან ჟისკარ დესტენთან და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერთან ჰ. შმიდტთან.

ლ. ი. ბრეჟნევმა და გ. ჰუსაკმა უარყვეს, რომ [illegible] ... ტაციად აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც დაუჭირონ მხარი ავღანელი ხალხის მართალ საქმეს, რომელიც აპრილის რევოლუციის მონაპოვრებს იცავს.

საუბრის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს შთაბეჭდილება XXII ოლიმპიური ასპარეზობის მიმდინარეობის შესახებ და კმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ მოსკოვის ოლიმპიადა საინტერესო ამხანაგური ასპარეზობის ვითარებაში მიმდინარეობს.

საუბარმა გულითადობისა და სრული ერთსულოვნების ვითარებაში ჩაიარა. (საკვლესი).

ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲗᲐ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲘ ᲕᲐᲮᲢᲘ

მიწა — წყალი — მოსავალი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

რესპუბლიკის ყველა რაიონს მოდებული ძლიერი გვალვის შედეგად საქართველოს სოფლის მეურნეობაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის გამო საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა ხანგრძლივი გვალვის შედეგების დაძლევისა და 1980 წლის მოსავლის ხსნის უზრუნველყოფის საგანგებო და გადაუდებელ ღონისძიებათა საკითხი.

გვალვას მაღალი ორგანიზებულობა უნდა დავუპირისპიროთ!

მიღებულ გადაწყვეტილებაში აღინიშნულია, რომ შექმნილმა სიტუაციამ შეიძლება დიდი დაასვას არა მარტო მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება-დამზადების დავალებათა შესრულებას, არამედ მთლიანად სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებასაც და, რაც ყველაზე მთავარია, რესპუბლიკის მოსახლეობის უზრუნველყოფას უმნიშვნელოვანესი სასურსათო პროდუქტებით. ყოველდღიურად უარესდება არათუ ერთწლოვანი კულტურების, არამედ აგრეთვე მრავალწლოვანი ნარგავებისა და ციტრუსის პლანტაციების მდგომარეობა.

ამასთანავე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზი გაუსვა, რომ ბევრ რაიონსა და მეურნეობაში ჯეროვნად არ აფასებენ ახლანდელ კრიზისულ სიტუაციას, არ იგრძნობა დაძაბულობა და ორგანიზებულობა ბევრი კოლექტივის მუშაობაში, დამაკმაყოფილებლად არ იყენებენ სარწყავ ტექნიკასა და სარწყავ წყალს.

ბევრი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანო ცუდად უძღვება საკვების დამზადებას, არათუ არ უწევს ორგანიზაციას პრაქტიკულ მუშაობას სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო წარმოების ნარჩენების, ჩვენი ტყეების შესაძლებლობათა გამოყენებას საკვები მიზნებისათვის, არამედ არც კი აქვს შემუშავებული ზუსტი პროგრამები ამ საქმეში.

სტიქიური მოვლენის შედეგებთან ბრძოლის გასაძლიერებლად პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო და სხვა ორგანოების საქმიანობის კოორდინაციის მიზნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შექმნა ხანგრძლივი გვალვის შედეგების ლიკვიდაციისა და მოსავლის დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განმახორციელებელი რესპუბლიკური საგანგებო შტაბი, რომელსაც თავმჯდომარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე.

შტაბის შემადგენლობაში არიან აგრეთვე ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, ო. ე. ჩერქეზიანი, ნ. ა. ჭითანავა, ბ. ვ. ადლეიბა, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. გ. ვარძელაშვილი, რესპუბლიკის მინისტრები და უწყებათა ხელმძღვანელები — შ. მ. ეცადაშვილი, გ. ბ. გადელია, შ. ი. ჭალაგანიძე, გ. ი. გვეტაძე და დ. ე. სარიშვილი.

გურჯაანში, მარნეულში, ცხინვალში, გორში, ახალქალაქში, სამტრედიაში, სოხუმსა და ბათუმში შეიქმნა გვალვის შედეგებთან ბრძოლის რეგიონალური შტაბები.

რესპუბლიკურ შტაბთან ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფები, რომლებიც ყოველდღიურად აანალიზებენ შექმნილ მდგომარეობას.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებს, „საქსახსოფლტექნიკასა“ და „საქმთავარწყალმშენს“ დაევალათ დაუყოვნებლივ შექმნან სამუშაო ჯგუფები სამინისტროებისა და უწყებების აპარატის პასუხისმგებელ მუშაკთა რიცხვიდან და მიავლინონ ისინი შტაბების თავმჯდომარეთა განკარგულებაში.

პარტიის რაიკომებსა და საქალაქო კომიტეტებს დაევალათ შექმნან სამუშაო ჯგუფები ხანგრძლივი და ძლიერი გვალვის შედეგების ლიკვიდაციისა და საკვების დამზადების, მოსავლის ხსნის ღონისძიებათა განსახორციელებლად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა აგრეთვე მთელი რიგი სხვა კონკრეტული ორგანიზაციული და პოლიტიკური ღონისძიებები გვალვის შედეგებთან ბრძოლის გასაძლიერებლად და წლევანდელი მოსავლის გადასარჩენად. (საქინფორმი).

გვალვის შედეგების ლიკვიდაციის რესპუბლიკურ საგანგებო შტაბში

პირველი სხდომა გამართა ხანგრძლივი გვალვის შედეგების ლიკვიდაციისა და 1980 წლის მოსავლის დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განმახორციელებელმა რესპუბლიკურმა საგანგებო შტაბმა მისი თავმჯდომარის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის თავმჯდომარეობით.

შტაბის სხდომაზე მიწვეული იყვნენ რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მეცნიერები, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს მუშაკები. სხდომაზე ინფორმაცია გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ ლ. ლ. ზაქაიძემ.

აღინიშნა, რომ საქართველოში არ აყოფილა ესოდენ ძლიერი გვალვა, რომელსაც ასეთი დიდი ტერიტორია მოეცვას. კრიზისული მდგომარეობა შექმნა სოფლის მეურნეობის გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებას, აგრეთვე გადამშვებელ მრეწველობას, საკვებით პირუტყვის უზრუნველყოფას. ახლა ადამიანთა მთელი ყურადღება, მთელი ენერგია უნდა მოზმარდეს გვალვის ძიმე შედეგების დაძლევას.

რესპუბლიკურმა საგანგებო შტაბმა დასახა სარწყავი წყლის რაციონალური გამოყენების, ამ საქმისათვის მეურნეობების ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობის გაძლიერების კონკრეტული ღონისძიებანი. ითქვა, რომ სავალდებულო უნდა გახდეს ღამის რწყვა, დასაწვიმი მანქანების, მოძრავი სატუმბი სადგურების ეფექტიანი გამოყენება, სარწყავი ტექნიკის მომსახურე ავარიული ბრიგადების შექმნა. დიდი ყურადღება დაეთმო საკვების დეფიციტის შევსებას საკვებწარმოებაში, ლეტეხის რაიონის მაგალითისამებრ, ხის ფოთლების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვადასხვა ნარჩენების გამოყენებას. ხაზი გაუსვეს აგრეთვე, რომ რკინიგზისა და საავტომობილო ტრანსპორტმა აწყობილად უნდა იმუშაოს სასოფლო-სამეურნეო ტვირთის გადასაზიდად.

შტაბის სხდომის მუშაობის შედეგები შეაჯამა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ.

შტაბის სხდომაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ვ. ი. ჭარუმიძე. (საქინფორმი).

ᲕᲔᲚ-ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲑᲘ ᲨᲕᲔᲚᲐᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ

ᲐᲠᲜᲐᲮᲣᲚᲘ გვალვა მძვინვარებს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. მზის ნიმბურვალისაგან მიწა სკდება, იფიტება. მცენარეებს დაღუპვა ელის. დიდი გამოკვლის წინაშე დგანან რესპუბლიკის მშრომელები, მათი მთელი წლის ნაჯაფ-ნაამაგარი სიფრთხეშია. სწორედ ასეთ კრიზისულ მომენტში პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებისადმი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოგმართავთ თქვენ, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში შექმნილ კრიზისულ მომენტში, — ნათქვამია მიმართვაში, — **როცა ძმიმე გვალვამ მოიცვა მთელი საქართველო, როცა ყოველ დღეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმა-ვალდებულებების შესასრულებლად.**

ნაგვიანევმა და სუსხიანმა გაზაფხულმა 20 დღით გადასწია ჩაის ფოთლის კრეფის სეზონი.

მაისის პირველ დეკადაში, შარშანდელთან შედარებით, 19.619 ტონით ნაკლები ფოთოლი იყო მოკრეფილი.

სუსხმა მძიმედ დააზიანა ხეხილის ბაღები, განსაკუთრებით კურკოვანნი. გადაბმულმა ნვიმებმა საშუალება არ მისცა მხვნელ-მთესველებს აგროვადებში დაემთავრებინათ თესვა.

მაისის დამდეგს შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით რესპუბლიკაში დათესილი იყო 70 ათასი ჰექტარით ნაკლები საგაზაფხულო კულტურები.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ვაჟკაცურად დაძლიეს უამინდობით გამოწვეული პირველი სიძნელეები. აგდგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გასწიეს იმისათვის, რომ აღმოეფხვრათ ჩაის ფოთლის კრეფაში არსებული ჩამორჩენა. ნარმატებით დაემთავრებინათ პირუტყვის გამოზამთრება, სანიმუშოდ მოეწყოთ ნათესების, ბაღ-ვენახებისა და პლანტაციების მოვლა-დამუშავება.

საქართველოს მეჩაიეებმა ერთხმად მოიწონეს და დაუჭირეს მხარი ცხაკაიელთა თაოსნობას — 15 ივნისამდე დაეძლიათ ჩამორჩენა ჩაის ფოთლის კრეფაში და მთელი ძალით გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება. 1 ივლისისათვის ჩამორჩენა უკვე დაძლეული იყო, წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით 507 ტონით მეტი ნედლეული დამზადდა. ეს კი იმის გარანტიას იძლეოდა, რომ 470 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი უთუოდ დამზადდებოდა.

და როცა თითქოს ყველა სიძნელე უკან დარჩა, ჩვენს სოფლის მეურნეობას თავს დაატყდა ახალი სტიქია — გვალვა, რომელმაც საქართველოს ყველა რაიონი — მთაცა და ბარიც მოიცვა.

საქმეს ისიც ართულებს, რომ რესპუბლიკის სარწყავ სისტემებში წყლის დეფიციტია. ტენის მწვავე ნაკლებობის გამო მკვეთრად გაუარესდა ერთწლოვანი კულტურების ნათესებისა და ნარგავების მდგომარეობა. უჭირს სიმინდის ყანას, ბოსტნეულის, კარტოფილის ნათესებს. მძიმე მდგომარეობაა ბაღ-ვენახებში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა მკაცრი გაფრთხილება და დიდი დავალებაა, რომელიც მემინდვრეებს, მებოსტნეებს, მევენახეებსა და მეხილეებს რაზმავს რთული სტიქიური მოვლენებისაგან თავდასაცავად, ხუთწლედის მეხუთე წლის კარს მომდგარი მოსავლის გადასარჩენად. მათი საპატიო ვალია ერთწლოვანთა ნათესებში, ბაღ-ვენახებში სარწყავი წყალი ისე გაანაწილონ, ისე გონივრულად გამოიყენონ, რომ სადაც კი საშუალებაა, ყველგან აპკურონ მაცოცხლებელი ნამი.

ᲐᲚᲠᲔᲡᲐᲓ **მძიმე პირობები შეიქმნა მთის რაიონებში, —** ნათქვამია მიმართვაში, — **ჯერ იყო და ცივმა გაზაფხულმა შეაფერხა ბალახის ვეგეტაცია, ახლა კი გვალვამ ამოხრუკა დაგვიანებით ნამოსული ბალახი, ბევრგან ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ პირუტყვი ახლავე გადაიყვანეს კომბინირებული საკვებით კვებაზე. რეალური საფრთხის წინაშეა მთაში უხეში საკვების დამზადების დავალების შესრულება.**

ასეთ პირობებში მთის რაიონების სოფლების საკვებმომპოვებლებმა დიდი ყაირათიანობა უნდა გამოიჩინონ, რომ არც ერთი კვადრატული მეტრი ბალახი არ დარჩეს მოუთიბავი, არც ერთი კილოგრამი უხეში საკვები არ დაიკარგოს. ამასთან ბარის რაიონებში არსებული ნამჯა უკლებლივ უნდა შეგროვდეს, მათ მთის რაიონებსაც უნდა უწილადონ ნამჯა.

გვალვებმა და ცხელმა ამინდებმა აქა-იქ უკვე გამოინვია ტყის ხანძრები, იმის რეალური საშიშროებაც არის, რომ სიცხით დასუსტებულ პირუტყვს ინფექციური დაავადებანი შეეყაროს, — ვკითხულობთ მიმართვაში.

ასეთ პირობებში დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მეტყევეებს, დიდი გულმოდგინება მართებთ ვეტერინარებს, ზოოტექნიკოსებს, ფერმის გამგეებს, რადგან ახლა, სწორედ ახლაა საჭირო მათი მთელი ცოდნის, უნარის გამოყენება.

გვალვის გამო საფრთხე ემუქრება წლის დოლვათს. ასეთ პირობებში უფლება არა გვაქვს გულხელდაკრეფილი შევცქეროდეთ ბუნების სტიქიას, მშვიდად ვუცქერდეთ, როგორ ანადგურებს იგი ჩვენს ნაჯაფ-ნაამაგარს.

დღედაღამ ფხიზლად ვიყოთ, რომ ყურძნის მტევნებით დახუნძლულ ვაზებს არაფერი გავუჭირვოთ, რომ მთელი წლის ნაღოლიავებ ზვრებს სტიქიამ ვერაფერი დააკლოს, რომ 770 ათასი ტონა ყურძნისათვის ბრძოლის ტემპი ერთი წუთითაც არ შეფერხდეს. ჩვენს მეხილეებს ერთხელ კიდევ უნდა შეკრებილნოთ, რომ ბაღებს არაფერი გაუჭირვონ, კურკოვანთა დაზიანებით გამოწვეული დანაკლისი თესლოვანებით დაფარონ; ამისათვის კი საჭიროა ბაღების შეუფერხებელი რწყვა, ნიადაგის გაფხვიერება.

როგორც იტყვიან, ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეს გვალვასთან საბრძოლველად. სწორედ ახლა უნდა გამოჩნდეს პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული ორგანიზაციების პოლიტიკური სიმწიფე და ბრძოლისუნარიანობა.



ᲕᲐᲚᲕᲐᲡᲗᲐᲜ **ბრძოლაში გულგრილი არ უნდა დარჩეს არც ერთი საწარმოსა და დაწესებულების, არც ერთი ორგანიზაციის კოლექტივი, მოსავლის გადარჩენა საყოველთაო-სახალხო საქმეა. ამ დიდ საქმეში ყველამ ღირსეული ადგილი უნდა დაიკავოს. რესპუბლიკაში გვაქვს გვალვასთან ვაჟკაცური შერკინების გამოცდილება. გავიხსენოთ თუნდაც 1975 წელი, როცა მთელი საქართველო დარაზმა გვალვისაგან ვენახების გადასარჩენად, როცა რკინიგზითა თუ ავტოცისტერნებით პეშვ-პეშვ მიგვქონდა მაცოცხლებელი წყალი გვალვით შეწუხებულ ზვარში.**

— მიმართვის ეს სიტყვები ერთხელ კიდევ შეგვახსენებს იმ გმირული შემართების ამბავს, რომელიც ამ ხუთიოდე წლის წინათ საქართველოს ქალაქებისა და სოფლების მშრომელებმა გამოიჩინეს. ეს იყო ქალაქელთა დიდი თანადგომა, სოფლის მშრომელებისადმი დიდი დახმარება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლაც, გვალვიანობის ამ პერიოდშიც დაირაზმებიან ქალაქების მშრომელები კარს მომდგარი ყურძნისა და ხილის მოსავლის გადასარჩენად.

გვალვასთან ბრძოლის გამარჯვებით დაგვირგვინების მთავარი პირობა მაღალი ორგანიზებულობაა. საჭიროა კონტროლი დავანესოთ და რაციონალურად გამოვიყენოთ თითოეული ნვეთი სარწყავი წყალი, მაქსიმალურად ავამოქმედოთ მექანიკური მელიორაციის რეზერვები, სრული დატვირთვით, შეუფერხებლად ვამუშაოთ საირიგაციო ნაგებობანი, დანადგარები, მანქანები, სარეველებისაგან გავათავისუფლოთ ნათესები, ბაღ-ვენახები, რადგან სარეველა წყალს არამევეს კულტურულ მცენარეს, ამასთან გაფხვიერებული მიწა უკეთ ინარჩუნებს ტენს. — სიტყვა, როგორც იტყვიან ხოლმე, ახლა ირიგატორებსა, მრწყველებსა და მევენახეებზეა!

ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ მარცვლეულის და ბოსტნეულის მოსავლის აღების ტემპის დასაჩქარებლად. ყოველთვის, განსაკუთრებით კი გვალვის პერიოდში, მოსავლის აღების გაჭიანურება დიდძალ დანაკარგებს იწვევს. მკვეთრად დაჩქარებას ითხოვს საკვების დამზადებაც, რადგან სიცხე აშრობს ბალახს, უკარგავს საკვებ ღირებულებას.

ეს იმას ნიშნავს, რომ, ვინც მოსავალს დროზე აიღებს, მოიგებს, დაგვიანებს — წაგებს! საქმე ახლა ის არის, რომ დაგვიანების უფლება არავის მიეცეთ, უთუოდ უნდა დავამზადოთ 322 ათასი ტონა ბოსტნეული, 170 ათასი ტონა კარტოფილი, 138 ათასი ტონა შაქრის ჭარხალი.

...სწორად იქცევიან ის რაიონები, რომლებიც საკვებ ბალახს უმატებენ სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოთა ნარჩენებს, აგრეთვე ფოთლოვანი მცენარეების ყლორტებისაგან დამზადებულ სენაჟს, სილოსს.

ეს მითითება უთუოდ უნდა შესრულდეს, პირუტყვს იმდენი საკვები უნდა მივუმარაგოთ, რომ არსად არ გაგვიჭირდეს მისი გამოზამთრება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები და კომკავშირელები, თითოეული მშრომელი ღრმად შეიგნებენ შექმნილ სერიოზულ მდგომარეობას და ყველაფერს იღონებენ გვალვის მძიმე შედეგების დასაძლევად. ეს კი იმის მნიშვნელოვანი პირობა იქნება, რომ წარმატებით შევასრულოთ მეათე ხუთწლედის დავალებანი, არ დავუშვათ სერიოზული შეფერხებები სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგებაში, ღირსეული შრომითი ნობათებით შევხვდეთ პარტიის XXVI ყრილობას.

ᲕᲘᲩᲐᲠᲝᲗᲝ! ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, ᲧᲝᲕᲔᲚ ᲡᲐᲐᲗᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ. ᲜᲣᲠᲐᲕᲘᲜ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲒᲣᲚᲒᲠᲘᲚᲘ! ᲛᲝᲓᲘᲗ, ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲓᲐᲒᲘᲪᲐᲙᲘᲤᲝᲗ ᲮᲔᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛ ᲒᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲘᲥᲘᲘᲐᲛ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲝᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲜᲐᲯᲐᲤ-ᲜᲐᲐᲛᲐᲒᲐᲠᲘ! ᲓᲦᲔᲡ ᲥᲣᲓᲖᲔ ᲙᲐᲪᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲔᲡ ᲒᲕᲐᲚᲕᲐᲖᲔ ᲡᲐᲘᲔᲠᲘᲤᲝᲛᲝᲓ, ᲒᲝᲜᲘᲕᲠᲣᲚᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲧᲔᲜᲝᲗ ᲛᲐᲪᲝᲪᲮᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲬᲕᲔᲗᲘ, ᲛᲔᲚᲘᲝᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲣᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲜᲘ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲘᲠᲘᲑᲐᲗᲘᲜᲝ ᲜᲐᲒᲔᲑᲝᲑᲐᲜᲘ. ᲒᲐᲕᲬᲛᲘᲜᲓᲘᲗ ᲡᲐᲠᲔᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲘ, ᲒᲐᲕᲐᲤᲮᲘᲔᲠᲝᲗ ᲛᲘᲬᲐ, ᲠᲝᲛ ᲣᲙᲔᲗ ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲝᲡ ᲛᲐᲜ ᲢᲔᲜᲘ! ᲓᲦᲔᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ, ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲘᲡᲪᲘᲠᲚᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲣᲚᲝᲑᲐ, ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲘᲥᲘᲘᲡᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲣᲨᲣᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲣᲨᲐᲝᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲒᲘᲗᲐᲜᲐᲑᲐᲠᲔᲑᲘᲗ! ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲠᲩᲘᲜᲝᲗ ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ!

ᲛᲝᲠᲘᲡ ᲤᲝᲪᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ქუდზე კაცი

დამზრალ ბალახს ცრემლი
ვასვი,
ვთქვი, რომ სული
შუქად დასანურია,—
გემრიელად
წყალს ვერ დალევს
ერისკაცი,
მშობელ მიწას როცა
წყალი სწყურია.

ნვიმის შოლტით
ხვატი უნდა გადავდენოთ,
ხორშაკს დავატოვებინოთ
მთა და ბარი სუნსულითი, —
არ იყო და ნურც ყოფილა
საქართველო
გადარეულ გვალვით
გადატრუსული!

იმედია,
მოვერევით იჭვის ხვასტაგს,
მწყურვალ ხეხილს
ნუთით არ შევეშვებით, —
გზნება ჩვენი
იყვავილებს ისევ, რადგან
იმედის ნერგს
ფესვებამდე
წყალს ჩავუმცრევთ
პეშვებით.
გულგრილი და ხელშიშველი
მე ვერ ვნახე,
ძმანო ჩემნო,
გული — გულს და
ხელი — ხელს, —
წყალს არ დალევს
დღეს ნამდვილი მევენახე,
ვიდრე ვენახს
წყალს არ დაალევინებს.

ქუდზე კაცი!
ერი ჩვენი ის ერია,
ძმათა ძმობით
ერთ ბურჯად რომ
მაგრდება, —
გაუმარჯოს იმედოვან
ივერიას,
გამარჯვების უპირველეს
შადრევანს!
დამზრალ ბალახს ცრემლი
ვასვი,
ვთქვი, რომ სული
შუქად დასანურია, —
გემრიელად
წყალს ვერ დალევს
ერისკაცი,
მშობელ მიწას როცა
წყალი სწყურია.

28 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. 1980 Წ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

პარტიის მიერ დასახულ მიზნებს მივაღწევთ!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა ცენტრალური კომიტეტის მდივნების, განყოფილებათა გამგეების შეხვედრა პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებთან. შეხვედრის დროს განხილეს მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულების საკითხები, მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმები, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისათვის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავისათვის მზადების, სამეურნეო მექანიზმის, მასების იდეოლოგიური აღზრდის სრულყოფის, საანგარიშო-საარჩევნო პარტიული კრებებისათვის მზადების მიმდინარეობა და სხვ.

26 ივლისს ცენტრალურ კომიტეტში შეჯამეს გამართული შეხვედრების შედეგები, განაზოგადეს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მიერ შეძენილი გამოცდილება სკკპ XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებების, პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხვა უმნიშვნელოვანესი დადგენილებების შესრულებაში, გამოავლინეს ნაკლოვანებები, განსაზღვრეს კონკრეტული პრაქტიკული ამოცანები პარტიის მორიგი ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

თათბირი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

თათბირზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. ვ. კოლბინი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ჯ. ი. პატიაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, განყოფილებათა გამგეები: მრეწველობისა — ბ. დ. მახარაშვილი, მხუბუქი და კვების მრეწველობისა — ო. მ. ივანაშვილი, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობისა — ბ. ზ. ბარსუკოვი, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურებისა — შ. ზ. ბერიანიძე, ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილე მ. მ. დანელია.

თათბირზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ.

ითქვა, რომ უფრო ფართოდ უნდა გაიშალოს ათეისტური პროპაგანდაც.

მოიყვანეს მაგალითები, რომლებიც მოწმობენ: იმის გამო, რომ საჩხერის, ამბროლაურის, ქობულეთის, სხვა რაიონების პარტიულმა ორგანიზაციებმა ვერ გამოიჩინეს სიფხიზლე, ცალკეულმა მღვდელმსახურებმა სცადეს გამოეყენებინათ მოსახლეობის გარკვეული ნაწილის რელიგიით დაბანგვის დახვეწილი ფორმები.

მოსახლეობის ზოგადი განათლების მაღალი დონე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სწრაფი განვითარება გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს ლექტორთა გამოსვლების ხარისხს. ამიტომ საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციების მუშაობა ლექტორთა კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. აღინიშნა, რომ რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნის“ მიერ გაწეული გარკვეული მუშაობის მიუხედავად, მას ჯერ კიდევ არ შეუსრულებია პარტიის მიერ დასახული ლექციური პროპაგანდის შემდგომი გაუმჯობესების ყველა ამოცანა. მას ახასიათებს სქოლასტიკურობა, მოწყვეტილია ცხოვრებას.

თათბირმა მოითხოვა, რომ უფრო სრულად გამოიყენონთ მოსახლეობაში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მრავალფეროვანი და ქმედითი ფორმები, უფრო ოცცალი, უფრო საინტერესო გავხადოთ პოლიტიკური აგიტაცია მშრომელთა საცხოვრებელ ადგილას.

უმნიშვნელოვანესი კოლიტიკური კამპანია

რესპუბლიკის პირველადი, რაიონული, საქალაქო და საოლქო პარტიული ორგანიზაციების ანგარიშგება-არჩევნების კამპანია, რომელიც საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას უძღვის წინ, უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს კომუნისტთა, ყველა მშრომელის ცხოვრებაში. იგი გაიმართება ახალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ატმოსფეროში, რაც გამოწვეულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის იანვლის პლენუმის გადაწყვეტილებებით, პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გაკეთებული საპროგრამო მოხსენებით.

ანგარიშგება-არჩევნები პარტორგანიზაციებში უნდა გახდეს განვლილ პერიოდში მოპოვებულ წარმატებათა თვისებური საბრძოლო დათვალიერება, მან ხელი უნდა შეიწყოს აგრეთვე ნაკლოვანებათა გამოვლენას.

პარტიის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელებისათვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში ჩამოყალიბებული დასკვნებისა და დებულებების განუხრელი შესრულებისათვის პარტიულ ორგანიზაციათა როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლების ნიშნით პარტიული კრებებისა და კონფერენციების მოწყობა, პარტორგანიზაციათა მუშაობის ღრმა და ყოვლმხრივი გაანალიზება — აი რა არის მთავარი, რასაც ყურადღება უნდა დაეთმოს.

კრების დამთავრებისთანავე უნდა მოეწყოს ზუსტი კონტროლი მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი.

თათბირის მონაწილეებმა გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ რესპუბლიკის კომუნისტები, მშრომელები არ დაიშურებენ ძალ-ღონეს, ცოდნასა და ენერგიას, რათა წარმატებით შეასრულონ ხუთწლედის დავალებანი, და, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებულნი, ღირსეულად შეხვდებიან ლენინური პარტიის მომავალ XXVI ყრილობას. (საქინფორმი).

პრის შვიდი თვის გეგმა!

როგორც საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იუწყება, რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის გეგმის რეალიზაციისათვის, ვადამდე, 28 ივლისს შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების იანვარ-ივლისის გეგმა.

„სკკპ XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პასუხად სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები იბრძვიან წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის შემდგომი ამაღლებისათვის, შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარებისათვის, დაზოგვის რეჟიმის ზუსტი დაცვისათვის, შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის.

როგორც ქალაქ თბილისის სტატისტიკური სამმართველო იუწყება, საქართველოს დედაქალაქის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის გეგმის [illegible] — სოციალისტური შეჯიბრება ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის გეგმის [illegible] რეალიზაციისათვის, ვადამდე, 28 ივლისს შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების მიმდინარე წლის შვიდი თვის გეგმა.

თბილისის საწარმოებში ახლა ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. ათობით ბრიგადა, წარმოების მოწინავენი, რომლებიც საყრილობო შრომითს ვახტზე დგანან, სამშობლოს უპატაკებენ ახალ წარმატებებს ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებაში. (საქინფორმი).

შირაქში, ზილიჩასა და ტარიბანაში კომბაინების ხმაური შეწყდა; ეს იმას ნიშნავს, რომ წითელწყაროს რაიონის მექანიზატორებმა პურეულის მოსავლის აღება დაამთავრეს 25 ათას ჰექტარზე. მკა დაამთავრეს, მაგრამ ნამჯის დაწნეხვა და ფირმებთან მიტანა გრძელდება. არც ერთი კილოგრამი ნამჯა არ უნდა დაიკარგოს—ასე გადაწყვიტეს რაიონის საკვებმომპოვებლებმა და სიტყვას ასრულებენ.

მექანიზებულ კალოებზე ისევ გრძელდება ხორბლის გაწმენდა, სათესლედ გადარჩევა და საწყობებში დაბინავება, მომავალი ხვნა-თესვისათვის თადარიგს აქედანვე იჭერენ.

მეემინდვრეთა გამარჯვება

წითელწყაროელებმა მარცვლეულის წარმოების ხუთწლიანი გეგმა შეასრულეს

რაიონში უხვი მოსავალი მოიწიეს ქვემო ქედის კოლმეურნეობის მემინდვრეებმა. მათ 2.100 ჰექტარზე ეთესათ პურეული. საშუალოდ ჰექტარზე 35,2 ცენტნერი მარცვალი გალეწეს. ზემოქედელებმა კი ჰექტარზე საშუალოდ 32,3 ცენტნერი პური მიიღეს და გეგმა გადამეტებით შეასრულეს. უხვი მოსავალი მოიწიეს არხილოსკალოს, ჯაფარიძის, ზემო მაჩხაანის, გამარჯვების კოლმეურნეობათა მემინდვრე-მექანიზატორებმა.

ალოობა-80-ის დროს ბევრმა კომბაინერმა ისახელა თავი. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ზემომაჩხაანელი თ. იაკობაშვილი, ზემოქედელი მ. ლალიაშვილი, ჯაფარიძელი ს. ყარაგეზაშვილი, არხილოსკალოელი ა. ბედოიძე, ქვემოქედელი მ. წიკლაური და ბევრი სხვა.

წითელწყაროელმა მხვნელ-მთესველებმა წლევანდელი უამინდობის მიუხედავად სასახელო გამარჯვება მოიპოვეს და გადამეტებით შეასრულეს ხუთწლედის დავალება. 325.902 ტონის ნაცვლად 349.602 ტონა მარცვალი აწარმოეს. სახელმწიფოს მიეყიდა 139.000 ტონა, სკკპ XXVI ყრილობის აღსანიშნავად კიდევ მიეყიდება 7.000 ტონა და ხუთწლედის დავალება 102 პროცენტით შესრულდება.

ნ. კრაწაშვილი.
წითელწყაროს რაიონი.

ᲐᲒᲘᲢᲣᲠᲘᲔᲜᲢᲘ—80

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი შევსების მისაღებად ემზადება. მაგრამ მანამდე, როგორც ყოველთვის, მისაღები გამოცდების ძნელი და პასუხსაგები სამი კვირა გვიდგეს წინ. მისაღები გამოცდების პერიოდი მარტოოდენ ჩვენი ახალგაზრდობის ცოდნის შემოწმება როდია. ამ დროს გამოცდას, შესაძლოა ყველაზე დიდნაწილევრად გამოცდას ამარებს თვით უმაღლესი სასწავლებელიც. ეს არის სამართლიანობის, პრინციპულობის, ობიექტურობისა და გერგილიანობის გამოცდა.

პროფესიული დონე, უზადო ზნეობრივი თვისებები, დიდი მორალური ავტორიტეტი — ეს აბსოლუტურად ტოლფასოვანი კრიტერიუმებია მიმღები კომისიების წევრობის კანდიდატთა შერჩევისას. მთელ რიგ წამყვან პროფესიორებსა და მასწავლებლებს რეგულარულად ვაბამთ მისაღებ გამოცდებში. მათ კარგი სახელი დაიმკვიდრეს ამ ძნელ და პასუხსაგებ საქმეში. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ხშირად ეს პირადი დასვენების, მეცნიერულ მუშაობაზე დროებით უარის თქმის ხარჯზე ხდება. მაგრამ მასწავლებლებს ესმით, რომ მიმღებ კომისიებში მონაწილეობა საპატიო მოვალეობაა, უმაღლესი სასწავლებლის მხრივ დიდი ნდობის აქტია. მათ ხელშია უნივერსიტეტის ღირსება და სახელი.

ჩვენ სრულიად შეუწყნარებელ მოვლენად მიგვაჩნია რეპეტიტორობა. მას ყოველ უმაღლეს სასწავლებელში ებრძვიან, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი საბოლოო აღკვეთა ჯერჯერობით ვერ მოვახერხეთ. ჩვენ კვლავაც ვეცდებით, რომ სრულიად გამოვრიცხოთ საგამოცდო კომისიებში იმ მასწავლებელთა მონაწილეობის შესაძლებლობა, რომლებიც რეპეტიტორობენ. ეს გარემოება, ჩვეულებრივ, ნაყოფიერ ნიადაგს უქმნის ნაირ-ნაირ ჭორებს, საზოგადოებრიობასა ნდობას და პატივისცემას უკარგავს უმაღლესი სასწავლებლებისადმი. უნივერსიტეტის რექტორატმა და პარტკომმა გულმოდგინედ იმუშავეს მიმღები კომისიების წევრობის კანდიდატთა შესასწავლად.

აბიტურიენტთა მომზადების დონე წლითიწლობით მაღლდება. სასკოლო პროგრამების ფარგლებში მატულობს მოთხოვნები, რომლებსაც აბიტურიენტს უყენებს უმაღლესი სასწავლებელი. დღეს საჭიროა არა მარტო ცოდნა, არამედ მისი უნარიანი გამოყენებაც, ანალიზური აზროვნების ჩვევები და ნიჭი. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ დღევანდელი აბიტურიენტის მომზადების საშუალო დონე სრულიად საკმარისი იყო უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად. ახლა ასეთი დონე აშკარად აღარ კმარა. ასეთ პირობებში ძალზე. საჭიროა, რომ აბიტურიენტებმა, მათმა მშობლებმა დაინახონ პრინციპული სხვაობა საშუალო სკოლის გამოსაშვებ გამოცდებსა და უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელ გამოცდებს შორის. უმაღლეს სასწავლებელში უწინარეს ყოვლისა კოხკურსია. სტუდენტის ბილეთს იღებს არა უბრალოდ კარგად მომზადებული აბიტურიენტი, არამედ ყველაზე მომზადებული, ყველაზე უკეთესი. აქ საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს არჩევენ, ნიჭიერთა შორის უნიჭიერესებს. ასეთია საკონკურსო გამოცდის კანონი და აზრი. ნიჭი და ცოდნა დღეს იწონება და იზომება პედაგოგიური ანალიზის უზუსტესი და ყველაზე სრულყოფილი მეთოდებით, რომლებსაც იოტისოდენა ცოდნაჩვეულა არ გამოეპარებათ. ამიტომ ხშირად თვითონ აბიტურიენტები ვერ ხედავენ სხვათას საკუთარ მომზადებასა და იმათ მომზადებას შორის, ვინც უფრო მეტ ქულას იღებს.

ამის გარკვევა გამომცდელის მთავარი ამოცანაა. წელს მოსალოდნელია სულ ცოტა 12 ათასი განცხადება, ჩვენ კი მხოლოდ სამი ათას კაცს მივიღებთ. ეს ნიშნავს, რომ ჩინებულად მომზადებული ახალგაზრდობის დიდი ჯგუფი უნივერსიტეტის გარეთ დარჩება. მაგრამ რას იზამ, კონკურსი კონკურსია! რა უნდა ქნან ამათ დანარჩენებმა, რომლებიც ამჯერად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ვერ გახდებიან? სამუდამოდ გამოეთხოვონ თავიანთი ოცნებას? რა თქმა უნდა, არა! უნდა იშრომონ, გაისარჯონ და, თუ მათ სერიოზულად აქვთ ასეთი მიზანი, მარცხი გულს არ გაუტეხთ, ვერ უცვლით ცხოვრების გეგმებს. ყოველწლიურად მატულობს ადგილები მოსამზადებელ განყოფილებებზე, სადაც მოწინავე მუშა და კოლმეურნე ახალგაზრდობას იღებენ. მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვთ მუშაობის სტაჟის მქონე და იმ აბიტურიენტებს, რომლებიც არჩეული სპეციალობის პროფილით მუშაობენ.

წინა წლებში საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობით იყო პრეტენზიები. მაგალითად, შარშან აბიტურიენტებმა 3.145 წერილი და ზეპირი პასუხი გააპრატესტეს. ამრიგად, ბევრი აბიტურიენტი სარგებლობს გამომცდელის გადაწყვეტილების გაპრატესტების უფლებით. ფიქტობრივად ყოველი მეოთხე ნამუშევარი ორჯერ შეფასდა, ესე იგი ერთ-ერთი გამოცდა ორ ტურად მიეწყო. გაპრატესტების ნებისმიერ შემთხვევაში გამომცდელის კომპეტენტურობისა და სამართლიანობისადმი ეჭვის დაღი აჩნევია. ყოველთვის საფუძვლიანია თუ არა აბიტურიენტთა პრეტენზიები? შარშან მეტ-ნაკლებად მხოლოდ 66 პრეტენზია დაკმაყოფილეს. როგორც ვხედავთ, ეს გაპრატესტება არც ისე საფუძვლიანი ყოფილა.

ᲡᲠᲣᲚᲕᲧᲝᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘ

სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის განსაკუთრებული ეტაპი

ერთი მხრივ, ეს საგამოცდო კომისიების წევრთა დიდ კომპეტენტურობას მოწმობს, საპრეტენზიო კომისიის მუშაობის მბაზაწმენდილობასა და მნიშვნელობას ადასტურებს. კომისია დეტალურად არჩევს ყოველი კონკრეტული სიტუაციის ხასიათს, ადგენს მექანიკური შეცდომების ფაქტებს და ა. შ., რითაც გამორიცხავს შემთხვევითობის უმცირეს შესაძლებლობას.

მეორე მხრივ, დაუსაბუთებელი პრეტენზიების რიცხვი გვიჩვენებს, რომ ბევრ ახალგაზრდას ყოველთვის არ აქვს შეგნებული თავისი ნაბიჯის მნიშვნელობა, პასუხისმგებლობა, რომელსაც კისრულობს, როცა საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილებას აპრატესტებს. თანაც გაცილებით უფრო ხშირია, როცა გაპრატესტებული ნამუშევარი ნიშნის დაკლებას უფრო იმსახურებს, ვიდრე მატებას. ასე, როცა მისაღები გამოცდებისათვის ვემზადებით, სრულიადაც არ მოგველით, თითქოს ჩვენ შევძლებთ მნიშვნელოვნად შევამციროთ გაპრატესტების რიცხვი. ახლანდელ ეტაპზე მთავარი ამოცანა ის როდია, რომ პრეტენზიები სრულიად არ იყოს ან მინიმუმამდე შემცირდეს. დღეს მთავარია თითოეულმა აბიტურიენტმა, რომელიც განცხადებას შეიტანს საპრეტენზიო კომისიაში, დამაჯერებელი, დასაბუთებული და ამომწურავი პასუხი მიიღოს ყველა კითხვაზე. მაგრამ საპრეტენზიო კომისიის მუშაობა უფრო მკაცრი, უფრო თანამიმდევრული უნდა იყოს. დაუსაბუთებელი გაპრატესტების ყოველი შემთხვევა პრინციპულად უნდა შეფასდეს.

ამავე დროს, პრინციპულ და მიუკერძოებელ შეფასებას ისახურებს გამომცდელი, რომელიც წუნს დაუშვებს თავის მუშაობაში, დაუდევრად და ფორმალურად მოეკიდება თავისი მოვალეობის შესრულებას და, ვერ გაერკვევა რა საკითხის არსში, აბიტურიენტის სამართლიან და დასაბუთებულ პროტესტამდე მიიყვანს საქმეს. ყოველი ასეთი შემთხვევა უნივერსიტეტში უაღრესად სერიოზული შესწავლის საგანი ხდება. მართალია, ასეთი შემთხვევები გამონაკლისია, მაგრამ მაინც არის, და ამას თვალს ვერ ავარიდებთ. სწორედ ეს არის, [illegible] ადამიანს, უწინარესად ჩვენს ახალგაზრდობას, აშფოთებს საზოგადოებრივ აზრს და არაჯანსაღ საზოგადოებრივ განწყობილებას ქმნის. უნივერსიტეტის მასწავლებლის წოდების ღირსება ის კი არ არის, რომ რადაც უნდა დაგიჭდეს დაამტკიცო საკუთარი შეფასების სამართლიანობა, არამედ ის, რომ ეს შეფასება მუდამ სამართლიანი იყოს.

გაპროტესტება გამოცდების პრაქტიკის ნორმა კი არა, გამონაკლისი უნდა იყოს.

უკვე შეფასებული ნამუშევრის განმეორებითი ანალიზი ნაკლებად რთული როდია, ვიდრე მისი პირველი შეფასება. ამაში ჩვენ გვეხმარებიან ყველაზე ავტორიტეტიანი და პატივისცემით გარემოსილი მეცნიერები და მასწავლებლები. მასწავლებლის ავტორიტეტი უდიდესი დამატებითი ძალაა, რომელიც გვეხმარება დავაროწმუნოთ აბიტურიენტი, ხშირად კი მისი შობლებიც, სამგამოცდო კომისიის გადაწყვეტილების სამართლიანობაში. მაგრამ არც ეს არის თვითმიზანი. ახალგაზრდა ადამიანთან ურთიერთობის პროცესში ასეთ მასწავლებელს, მეცნიერს შეუძლია განსაზღვროს, თუ რამდენად სწორად არის არჩეული პროფესია, მზაბაშეწონილია თუ არა არჩეულ ფაკულტეტზე შესვლის განმეორებით ცდა, მისცეს აბიტურიენტს ამ განსაკუთრებულ სიტუაციაში რჩევა, რომელიც არა მარტო შეუმსუბუქებს მას ერთი მხრივ, ეს საგამოცდო კომისიების წევრთა დიდ კომპეტენტურობას მოწმობს, საპრეტენზიო კომისიის მუშაობის მბაზაწმენდილობასა და მნიშვნელობას ადასტურებს. ეს ერთ-ერთი [illegible] ფაქტია. ამ ფაქტს ბევრ [illegible] ეს [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

საერთაშორისო ცხოვრება
დედამიწის ჯვარედინზე

საქართველოს და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები ბუენოს-აირესიდან

ერთობლივი კვლევა გრძელდება

ფარინის მართვის ცენტრი, 27 ივლისი (საქდეს). „სალიუტ-6"— „სოიუზ-36" — „სოიუზ-37" ორბიტულ კომპლექსში დღევანდელი სამუშაო დღე მეცნიერულ კვლევას დაეთმო.

